

## გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია

### 2020 წლის ანგარიში

წარმოგიდგენთ ანგარიშს 2020 წლის 1 იანვრიდან 25 დეკემბრის ჩათვლით გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

### ადმინისტრაციული სამსახური

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში საანგარიშო პერიოდში შემოვიდა 10670 კორესპონდენცია, მერიიდან გასული კორესპონდენციის რაოდენობამ შეადგინა 10192, გამოიცა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის 3318 სამართლებრივი აქტი, მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 220 განკარგულება და ცხოვრების ფაქტის დამდგენი კომისიის 7 განკარგულება.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში 2020 წლის პირველ ნახევარში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით შემოსულია 28 წერილობითი მოთხოვნა. მერიაში შემოსულ 23 მოთხოვნასთან დაკავშირებით გაცემულია შესაბამისი პასუხი. 5 წერილზე მიმდინარეობს მუშაობა და შესაბამისი პასუხი გაცემული იქნება კანონით გათვალისწინებულ ვადებში. საჯარო ინფორმაციაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება გასაჩივრებული არ არის. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე მერიაში არცერთი მოთხოვნა არ შემოსულა. მერიაში შემოსული საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილება სხვადასხვა დროს მიღებული აქვს მერს და ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს. საჯარო მონაცემების განთავსება ეტაპობრივად ხორციელდება გარდაბნის მუნიციპალიტეტის ვებ. გვერდზე: <http://gardabani.gov.ge>.

2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 24 დეკემბრის ჩათვლით, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მიერ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე მომზადებულ იქნა 3318 (ათას სამას ოთხმოცი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის პროექტი, რაც გამოცემულ იქნა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების სახით.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია 2020 წლის 1 იანვრიდან დღემდე ჩართულია 30 (ოცდაათი) სასამართლო პროცესში. წარმოგიდგენთ სასამართლო წარმოებაში საანგარიშო პერიოდში არსებული საქმეების ჩამონათვალს და მათი მიმდინარეობის/შედეგების აღწერას:

1. მოსარჩელე - ლეილა მაღალდამე, მოპასუხე - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია, მესამე პირი - გივი მაღალდამე (საქმე N3-307-18), დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, მოსარჩელემ რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა საჯარო რეესტრის ნაწილში. მიმდინარეობს პროცესი სააპელაციო სასამართლოში;

2. მოსარჩელე გივი კუჭერაშვილი - მოპასუხე გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია. დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ (საქმე N3-262-18) რუსთავის საქალაქო სასამართლოში. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება გაასაჩივრა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიამ თბილისის სააპელაციო სასამართლოში, თბილისის სააპელაციო სასამართლომ უცვლელი დატოვა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიტანა საკასაციო საჩივარი;

3. მოსარჩელე თამარ ლევიშვილი - მოპასუხე გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია, დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, პირველმა ინსტანციამ არ დააკმაყოფილა საჩივარი, მოსარჩელემ გაასაჩივრა გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში, საქმე N3ბ/2077-19, დასრულდა საქმე მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ.

4. მოსარჩელე დარჯანია - მოპასუხე გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია, დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, მიმდინარეობს საქმის განხილვა რუსთავის საქალაქო სასამართლოში;

5. მოსარჩელე მარინე ონიანი, მოპასუხე გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია, რუსთავის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა მარინე ონიანის სარჩელი შრომით დავასთან დაკავშირებით, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიამ გაასაჩივრა რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით, (საქმე N2-1823- 18), თბილისის სააპელაციო სასამართლომ უცვლელი დატოვა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება, მერიის მხრიდან გადაწყვეტილება გასაჩივრებულია საკასაციო სასამართლოში;

6. მოსარჩელე შპს „კუმისის ტბა“, მოპასუხე - გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია, ქონების მართვის ეროვნული სააგენტო. (საქმე N 3-80-19), შეჩერებულია მოსარჩელის მიერ ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენამდე;

7. მოსარჩელე შპს „საბა“, მოპასუხე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, მესამე პირი გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია, გასაჩივრებულია გადაწყვეტილება იურიდიული პირის შავ სიაში შეყვანის თაობაზე. საქმე N3/7249-18, მიმდინარეობს პროცესი თბილისის საქალაქო სასამართლოში;

8. მოსარჩელე ლელა გოგოლაური, მოპასუხე გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია, რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით (საქმეზე N3-181-18) დაგვევალა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა რუსთავის საქალაქო სასამართლოში. რუსთავის საქალაქო სასამართლომ სადავო საქმის გადაუწყვეტლად დაავალა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიას ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება, რაც გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის მიერ გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივარი, მიღებული გადაწყვეტილება ლელა გოგოლაურმა გაასაჩივრა საკასაციო წესით;

9. მოსარჩელე გელა ჯერენაშვილი, მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, მესამე პირები: სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია, დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, საქმე N 3-148-19, საჩივარი დაკმაყოფილდა და დაევალა მოპასუხე საჯარო რეესტრს ადმინისტრაციული წარმოება, გელა ჯერენაშვილის მიერ გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში და ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება;

10. მოსარჩელე თეიმურაზ ჭილაძე, მოპასუხე საჯარო რეესტრის სააგენტო, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია, დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, საქმე N 3-194- 19, დასრულდა საქმის განხილვა მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ.

11. მოსარჩელე მოკონა ზარანდია, მოპასუხე: გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების აღიარების კომისია, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია, დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, რუსთავის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი;

12. მოსარჩელე შპს “SKY GROUP”, მოპასუხე გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია, მესამე პირებად ჩართულია: გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები და ზედამხედველობის სამსახური, საქმე N 3-200-19, დავის საგანი - სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, თანხის ანაზღაურების მოთხოვნა, სასამართლო განხილვა დასრულებულდა მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ, გადაწყვეტილება შპს “SKY GROUP“-ის მიერ გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

13. მოსარჩელე - ნინო ცოფურაშვილი, მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია, დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, საქმე №3-179-20, მიმდინარეობს პროცესი;

14. მოსარჩელე - იმედა ბოლქვაძე, მოპასუხე გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია, დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, საქმე N3-215-19, რუსთავის საქალაქო სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა ნაწილობრივ დემონტაჟის ნაწილში, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიამ გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოში და მიმდინარეობს საქმის განხილვა;

15. მოსარჩელე - შპს „დარია +“, მოპასუხე - გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია, დავის საგანი: სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2018 წლის 30 ოქტომბრის N187 ხელშეკრულებიდან გამომდინარე

თანხის გადახდის დაკისრება გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიისთვის, მიმდინარეობს საქმის განხილვა რუსთავის საქალაქო სასამართლოში, პირველ ინსტანციაში დასრულდა, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სარჩელი, მერიის მიერ გასაჩივრებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოში;

16. მოსარჩელე ი/მ გიორგი კობალაძე, მოპასუხე სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, მესამე პირი გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია. (2018 წლის 2 აგვისტოს N142 ხელშეკრულებიდან (გამარჯვების და სააკამეში ბაგა-ბადის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დმზადება) გამომდინარე შავ სიაში შეყვანა, საქმე N3/7944-1 თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა საჩივარი;

17. მოსარჩელე შპს “NEW GEORGIA”, მოპასუხე სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, მესამე პირი გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია, („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ 2018 წლის 19 ივნისის N126 ხელშეკრულებიდან გამომდინარე შავ სიაში შეყვანის თაობაზე) მიმდინარეობს საქმის განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოში;

18. მოსარჩელე შპს „ჰუნქან“, მოპასუხე გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია, დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, საქმე N 3-320-19; რუსთავის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი, გადაწყვეტილება გაასაჩივრდა შპს „ჰუნქანის“ მიერ;

19. მოსარჩელე შპს „რეკონსტრუქცია XXI“ მუდმივი დაწესებულება, მოპასუხე გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია, საქმე N2-2405-19, დავის საგანი: 2019 წლის 1 მაისის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N77 ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის გადახდის დაკისრება გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიისთვის, რუსთავის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი;

20. მოსარჩელე ნინო გულბანი, მოპასუხე გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია, საქმის N3-1-20, დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, გარდაბნის მაგისტრანტი სასამართლოს მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა ახალი ინდ.აქტის გამოცემა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში საქმესთან დაკავშირებული გარემოების გამოკვლევისა და შეფასების შემდგომ სამართლებრივი დასაბუთებით გამოიცა ახალი ინდ. აქტი, რითაც ძალაში დარჩა მერის გადაწყვეტილება;

21. მოსარჩელე ელდარ ახმედოვი, მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია, მესამე პირი: გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია, დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის (აღიარების კომისიის) ბათილად ცნობა, საქმე N3-51-20, მიმდინარეობს პროცესი;

22. მოსარჩელე აფატ, ფაიკ, აიბანიზ შარიფოვები, მოპასუხე: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია, დავის საგანი: ინდივიდუალური სამართლებრივ აქტის ბათილად ცნობა, საქმე N3-348-19, მოსარჩელემ სარჩელი გაიხმო;

23. მოსარჩელე ლიანა დაიაური, მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია, დავის საგანი: აქტის ბათილად ცნობა, საქმის N 3-331-19, მიმდინარეობს საქმის განხილვა;

24. მოსარჩელე მარინა ბერიძე, მოპასუხე: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია, მესამე პირი: ტრისტან კაპანაძე, საქმის N3-394-19, დავის საგანი: ინდ. აქტის (საჯარო რეესტრის გადაწყვეტილების და მერის წარმომადგენლის ოქმის ბათილობა), რუსთავის სასამართლომ არ სცნო დასაშვებად და უარი თქვა საქმის განხილვაზე, რის შემდგომაც მოსარჩელის მიერ გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში.

25. მოსარჩელე მარინე კულიანი, მოპასუხე: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია, საქმის N3-265-20, მიმდინარეობს საქმის განხილვა რუსთავის საქალაქო სასამართლოში.

26. მოსარჩელები - გოჩა და მაია ჯანჯღაძეები, მოპასუხე - გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია საქმის №3-167-20, დავის საგანი: ინდივიდუალური სამართლებრივ აქტის ბათილად ცნობა, მიმდინარეობს საქმის წარმოება რუსთავის საქალაქო სასამართლოში.

27. მოსარჩელე - ამხანაგობა „ენკა“, მოპასუხე - გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია, დავის საგანი: თანხის დაკისრება, საქმის № 190210020003947604 - მიმდინარეობს საქმის წარმოება რუსთავის საქალაქო სასამართლოში.

28. მოსარჩელე- ენერგო პრო ჯორჯია, მოპასუხე - გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია, დავის საგანი: ინდივიდუალური სამართლებრივ აქტის ბათილად ცნობა, საქმის №3-308-20 - მიმდინარე წარმოება რუსთავის საქალაქო სასამართლოში.

29. მოსარჩელე შპს „გრანიტი-98“, მოპასუხეები - გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, სსიპ ქონების ეროვნული სააგენტო, დავის საგანი: ინდ. აქტის ბათილად ცნობა, საქმის N3-190-20, მიმდინარეობს წარმოება რუსთავის საქალაქო სასამართლოში.

30. შპს „ჰუნქანი“, მოპასუხეები - გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია, ზედამხედველობის სამსახური, დავის საგანი: ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული ინდ. აქტის ბათილად ცნობა, საქმის N190310019003261199, მიმდინარეობს საქმის განხილვა თბილისის სააპელაციო სასამართლოში;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში დღეის მდგომარეობით დასაქმებულია 215 ადამიანი (მათ შორის 130 საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ პოზიციაზე, 24 - შრომითი ხელშეკრულებით და 61 ადმინისტრაციული ხელშეკრულებით), გენდერულ ჭრილში: მამრობითი - 115, მდედრობითი - 100.

2020 წლის იანვრიდან დღემდე გამოცხადდა 20 (ოცი) ღია და 11 (თერთმეტი) შიდა კონკურსი 31 პოზიციაზე, მათგან 1 პოზიციაზე ღია კონკურსი ამ ეტაპზეც მიმდინარეობს და იმყოფება განაცხადების გადარჩევის ეტაპზე. აღნიშნულ კონკურსებში სულ წარმოდგენილ იქნა 297 (ორასოთხმოცდაჩვიდმეტი) განაცხადი.

საორგანიზაციო განყოფილების მიერ მუდმივად ხდება კავშირის უზრუნველყოფა მერთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელ პირებთან. მზადდება წინადადებები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პრობლემებისა და მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ.

გამართული მუშაობის მიზნით ხორციელდებოდა ცხრამეტივე ადმინისტრაციული ერთეულის შემოწმება/მონიტორინგი, საორგანიზაციო განყოფილების მიერ, მოხდა ადმინისტრაციულ ერთეულებში გადანაწილებული თანამშრომლებისათვის საჭიროებისამებრ კონსულტაციის გაწევა გამართული მუშაობის მიზნით. თვითეულ თანამშრომელზე გაიწერა სამუშაო გეგმის აღწერილობა. ასევე ყოველდღიურად ხდებოდა ინფორმაციის მიწოდება ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ და მათი შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

ყოველდღიურ რეჟიმში ხორციელდებოდა სამსახურეობრივი დოკუმენტების, მოქალაქეთა, ორგანიზაციების, დაწესებულებების მიერ გამოგზავნილი კორესპონდენციებისა და მომართვების შესწავლა, აღრიცხვა, სისტემატიზაცია, მათი შესაბამისი ადრესატისათვის გადაგზავნა.

01.02.2020 – 30.09.2020 საანგარიშო წლის პერიოდში საორგანიზაციო განყოფილებაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შემოვიდა დაახლოებით 4750 კორესპონდენცია. პასუხი გაცეა დაახლოებით 3930 კორესპონდენციას. ასევე დროული რეაგირება ხდებოდა სხვადასხვა უწყებებიდან შემოსულ წერილებზე. მერის წარმომადგენლებისაგან მიღებულია ინფორმაციული ხასიათის სხვადასხვა სახის 150-ზე მეტი შეტყობინება.

აქტიურად მონაწილეობდა ადმინისტრაციული ერთეულების სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმვის ნორმებისა და წესების, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების, ტერიტორიის კეთილმოწყობისა და საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამათა პროექტების მომზადებაში და მათი განხორციელებისა და დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებებში.

ოპერატიულად მზადდებოდა ინფორმაცია მერიის საქმიანობის შესახებ და ქვეყნდებოდა როგორც ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ასევე სოციალური ქსელის საშუალებით. ხორციელდებოდა მერიის საქმიანობის საინფორმაციო, ანალიტიკური, საცნობარი და ტექნოლოგიურ-პროგრამული უზრუნველყოფა, მერიის ოფიციალური ინფორმაციის გავრცელება, თვითმმართველი ერთეულის მასობრივი ინფორმაციის ორგანოებთან მუშაობის ორგანიზება. მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ოფიციალური შეტყობინებები, განცხადებები და სხვა საინფორმაციო მასალები მიეწოდებოდა საინფორმაციო საშუალებებს.

Covid-19 პანდემიის პერიოდში საორგანიზაციო განყოფილება უზრუნველყოფდა მოსახლეობისათვის მათთვის საჭირო კონსულტაციების გაწევას. უწყვეტ რეჟიმში ფუნქციონირებდა ცხელი ხაზი, რომლის მეშვეობითაც ინფორმაციას იღებდნენ, როგორც მოქალაქეები, კერძო ორგანიზაციები ასევე საჯარო უწყებები. საორგანიზაციო განყოფილება covid-19 პანდემიის პერიოდში ორგანიზებას უწევდა მოქალაქეთა შეხვედრებს მუნიციპალიტეტის მერთან. ოპერატიულად მზადდებოდა ინფორმაცია მერიის საქმიანობის შესახებ და ქვეყნდებოდა როგორც ოფიციალურ ვებ-გვერდზე Gardabani.gov.ge-ზე, ასევე მუნიციპალიტეტის ფეისბუქ გვერდზე „გარდაბნის მუნიციპალიტეტი/Municipality of Gardabani“. საორგანიზაციო განყოფილების მიერ აქტიურად მიმდინარეობს ვებ გვერდისა და ელექტრონული ფოსტის მოხმარება. მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის ვებ გვერდი მოინახულა დაახლოებით 4000 მნახველმა, გამოქვეყნდა 400-მდე საინფორმაციო შეტყობინება. ელექტრონულ ფოსტაზე შემოსულია დაახლოებით 380-მდე შეტყობინება.

განყოფილებამ კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად ჩაატარა ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილებას დაქვემდებარებული საჯარო მოხელეთა შეფასება.

## **ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახური**

მიმდინარე წელს გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირდა 38 უძრავი ქონება (იხ. ცხრილი №1), მათ შორის სოფლებში: გამარჯვებაში, კალინინოსა და სართიჭალაში მდებარე გარე განთების ქსელები.

სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში მოთხოვნა გადაგზავნილია 19 უძრავი ქონების მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრაციის მიზნით (იხ. ცხრილი №1).

სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს გადაეგზავნა მოთხოვნა გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფლების (მარტყოფი, ნორიო, ახალსოფელი, ვაზიანი და ახალი სამგორი) წყალმომარაგების პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით თანდართულ ცხრილში მითითებული იმ უძრავი ქონების მუნიციპალურ საკუთრებაში რეგისტრაციის მიზნით, სადაც უნდა განთავსდეს ხსენებული პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა.

გარდაბნის მუნიციპალიტეტს სარგებლობაში გადმოეცა ქალაქ გარდაბანში (ს/კ №81.15.20.353), სოფელ გამარჯვება I-სა (ს/კ №81.07.16.787) და სოფელ ბოტანიკაში (ს/კ №81.14.05.788) არსებული მიწის ნაკვეთები, სკვერების მოწყობის ვადით, შემდგომში მუნიციპალურ საკუთრებაში რეგისტრაციის მიზნით.

თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზის მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში მოჭრილი ხეების ნაცვლად საკომპენსაციო რგვების განსახორციელებლად გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოეცა ს/კ №81.15.06.206, ს/კ №81.15.29.419 და ს/კ №81.14.10.163 მიწის ნაკვეთები, 3031 ხის, მათ შორის 1330 კაკლის და 1701 ზეთისხილის ნერგების დარგვის მიზნით.

განხორციელდა ცვლილება სოფელ ყარათაკლიაში მდებარე ბაგა-ბადის რეგისტრაციასთან დაკავშირებით, კერძოდ ბაგა-ბადის ტერიტორიასთან გაერთიანდა გვერდზე მდებარე ს/კ №81.06.15.824 უძრავი ქონება და ყარათაკლიის ბაგა-ბადი დარეგისტრირდა შემდეგი ახალი საკადასტრო კოდით: №81.06.15.932.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდა სატრანსპორტო საშუალება VAZ 21214-ის ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზება (იხ. ცხრილი №2), ღირებულებით 1980 ლარი; მწყობრიდან გამოსული სანაგვე ურნების (ჯართი) პრივატიზება, თანხით 1106.81 ლარი; გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: სოფელ თელეთში მდებარე გაზსადენი მილისა (ს/კ №81.00.348) და სოფელ წალასყურში მდებარე გაზსადენი მილის (ს/კ 81.00.350) პრივატიზება, თანხით 116875 და გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. გარდაბანში დ. აღმაშენებლის ქ. №27-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული 150 კვ.მ ფართისა და მასზე წილობრივად დამაგრებული 571 კვ.მ მიწის ნაკვეთის №81.15.13.454.01.500 პრივატიზება, თანხით 57750 ლარი.

ცხრილი №1

2020 წელს გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული და მუნიციპალურ საკუთრებაში რეგისტრაციის მიზნით საქმისწარმოებაში არსებული უძრავი ქონების ჩამონათვალი			
№	ტერიტორიული ორგანო, მისამართი	უძრავი ქონების დასახელება	რეაგირება
1	გარდაბანი, ყარათაკლია	30125 კვ.მ-სასაფლაოს მოსაწყობად	მუნიციპალური საკუთრება 81.13.01.461
2	გარდაბანი, ყარაჯალარი	81.06.02.517-მოქმედი სასაფლაო	გადაგზავნილია მოთხოვნა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში
3	ქ. გარდაბანი	62778 კვ.მ-მოქმედი სასაფლაო	გადაგზავნილია მოთხოვნა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში
4	გარდაბანი, მარტყოფი	81.10.10.469-სპორტული დარბაზი	მუნიციპალური საკუთრება 81.10.10.469
5	ქ. გარდაბანი	ტროტუარის ნაწილი	მუნიციპალური საკუთრება 81.15.15.173
6	ქ. გარდაბანი	ადგილობრივი მნიშვნელობის გზა	მუნიციპალური საკუთრება 81.15.19.399
7	ქ. გარდაბანი, დ. აღმაშენებლის ქუჩა	სკვერი-225 კვ.მ	მუნიციპალური საკუთრება 81.15.08.384
8	ქესალო	სკვერი-1500 კვ.მ	მუნიციპალური საკუთრება 81.16.08.685
9	ქ. გარდაბანი, დ. აღმაშენებლის ქუჩა	ტროტუარი	მუნიციპალური საკუთრება 81.15.13.548
10	ქ. გარდაბანი, დ. აღმაშენებლის ქუჩა	მოსაცდელი	მუნიციპალური საკუთრება 81.15.13.549

11	ქ. გარდაბანი, დ. აღმაშენებლის ქუჩა	ტროტუარი	მუნიციპალური საკუთრება 81.15.13.550
12	ქ. გარდაბანი, დ. აღმაშენებლის ქუჩა	მოსაცდელი	მუნიციპალური საკუთრება 81.15.13.551
13	ქ. გარდაბანი, დ. აღმაშენებლის №127 ქუჩის მიმდებარედ	38 კვ.მ -მოსაცდელი	მივიღეთ უარი საავტომობილო გზების დეპარტამენტისგან
14	ქ. გარდაბანი, დ. აღმაშენებლის №6 ქუჩის მიმდებარედ	28 კვ.მ -მოსაცდელი	მივიღეთ უარი საავტომობილო გზების დეპარტამენტისგან
15	გარდაბანი, გამარჯვება	გარე განათების ბოძები-10806.3 გრძივი მეტრი	მუნიციპალური საკუთრება 81.00.959
16	გარდაბანი, კალინინო	გარე განათების ბოძები-13457.25გრძივი მეტრი	მუნიციპალური საკუთრება 81.00.402
17	გარდაბანი, მარტყოფი	საჭიდაო დარბაზისთვის	მუნიციპალური საკუთრება 81.10.09.845
18	ქ. გარდაბანი, ქვემო კაპანახჩის დასახლება	სკვერი-164 კვ.მ	მუნიციპალური საკუთრება 81.15.21.550
19	ქ. გარდაბანი, აღმაშენებლის ქუჩა	სკვერი-213 კვ.მ	მუნიციპალური საკუთრება 81.15.15.210
20	ქ. გარდაბანი, ლესელიძის ქუჩა	სკვერი-217 კვ.მ	მუნიციპალური საკუთრება 81.15.07.525
21	ქ. გარდაბანი, თბილწყაროს დასახლება	სკვერი-354 კვ.მ	მუნიციპალური საკუთრება 81.15.03.359
22	გარდაბანი, კუმისი	დაგეგმილია ქუჩის ტრენაჟორების მოწყობა-455 კვ.მ	მუნიციპალური საკუთრება 81.24.03.608
23	გარდაბანი, ნაზარლო	სასაფლაო-1355 კვ.მ	მუნიციპალური საკუთრება 81.17.08.152
24	გარდაბანი, ყარაჯალარი	სკვერი-371 კვ.მ	მუნიციპალური საკუთრება 81.06.03.348
25	გარდაბანი, ყარათაკლია	საბავშვო ბაგა-ბაღი	მუნიციპალური საკუთრება 81.06.15.932 განხორციელდა ცვლილების რეგისტრაცია
26	გარდაბანი, გამარჯვება	საფეხბურთო მინი-მოედანი-480 კვ.მ	მუნიციპალური საკუთრება 81.07.06.643
27	გარდაბანი, გამარჯვება I	საფეხბურთო მინი-მოედანი-651 კვ.მ	მუნიციპალური საკუთრება 81.07.16.788
28	გარდაბანი, გამარჯვება I	დაგეგმილია სკვერისა და საბავშვო ატრაქციონის მოწყობა-814 კვ.მ ს/კ №81.07.16.787	გადმოეცა გარდაბანს სარგებლობაში სკვერის მოწყობის ვადით
29	გარდაბანი, ნორიო	სკვერი-1079 კვ.მ	გადაგზავნილია მოთხოვნა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში
30	გარდაბანი, ზემო ქვიშიანი	წყარო-195 კვ.მ	მუნიციპალური საკუთრება 81.09.20.429

31	გარდაბანი, ვაზიანის დასახლება	დაგეგმილია სატრენაჟორო სკვერის მოწყობა-3765 კვ.მ	გადაგზავნილია მოთხოვნა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში
32	გარდაბანი, ახალშენი	სკვერისა და ტრენაჟორებისათვის განკუთვნილი ტერიტორია-123 კვ.მ	გადაგზავნილია მოთხოვნა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში
33	გარდაბანი, ბოტანიკა	სკვერისა და ტრენაჟორებისათვის განკუთვნილი ტერიტორია-220 კვ.მ ს/კ №81.14.05.788	გადმოეცა გარდაბანს სარგებლობაში სკვერის მოწყობის ვადით
34	გარდაბანი, კრწანისი	იგეგმება ქუჩის ტრენაჟორების მოწყობა-266 კვ.მ	მუნიციპალური საკუთრება 81.04.22.097
35	გარდაბანი, მზიანეთი	სატრენაჟორო მოედანი, დამატებით იგეგმება სკვერის მოწყობა-810 კვ.მ	გადაგზავნილია მოთხოვნა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში
36	გარდაბანი, ლემშენიერა	სკვერი-1331 კვ.მ	გადაგზავნილია მოთხოვნა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში
37	გარდაბანი, თელეთი	ამბულატორია-251 კვ.მ	მუნიციპალური საკუთრება 81.03.06.486
38	გარდაბანი, თელეთი	არენა, საბავშვო ატრაქციონები. ქუჩის ტრენაჟორება ემატება წელს-2092 კვ.მ	მუნიციპალური საკუთრება 81.03.06.488
39	გარდაბანი, მუხრანთელეთი	ქუჩის ტრენაჟორები, ემატება წელს საბავშვო ატრაქციონები-581 კვ.მ	მუნიციპალური საკუთრება 81.03.01.690
40	გარდაბანი, ახალწყალი	საბავშვო ატრაქციონები, ემატება წელს ქუჩის ტრენაჟორები-93 კვ.მ	მუნიციპალური საკუთრება 81.03.07.792
41	გარდაბანი, წალასყური	ქუჩის ტრენაჟორები-287 კვ.მ	მუნიციპალური საკუთრება 81.03.02.422
42	გარდაბანი, ახალსოფელი	55.41 კვ.მ-დიდი წყლის პროექტის ფარგლებში მოთხოვნილი ქონება	გადაგზავნილია მოთხოვნა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში
43	გარდაბანი, სართიჭალა	57.28 კვ.მ-დიდი წყლის პროექტის ფარგლებში მოთხოვნილი ქონება	გადაგზავნილია მოთხოვნა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში
44	გარდაბანი, სართიჭალა	1515.73 კვ.მ-დიდი წყლის პროექტის ფარგლებში მოთხოვნილი ქონება	გადაგზავნილია მოთხოვნა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში
45	გარდაბანი, სართიჭალა	4442.58 კვ.მ-დიდი წყლის პროექტის ფარგლებში მოთხოვნილი ქონება	გადაგზავნილია მოთხოვნა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში
46	გარდაბანი, მარტყოფი	2906.55 კვ.მ-დიდი წყლის პროექტის ფარგლებში მოთხოვნილი ქონება	გადაგზავნილია მოთხოვნა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში

47	ქ. გარდაბანი, ლევ ტოლსტოის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია	9407 კვ.მ-მიწის ნაკვეთი განხილულია რეკრეაციული ზონის მოსაწყობად	მუნიციპალური საკუთრება 81.15.11.260
48	ქ. გარდაბანი, აღმაშენებლის ქუჩა N2-ის მიმდებარედ	საკუთრებაში გადმოგვცა თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზის მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში მოჭრილი ხეების ნაცვლად საკომპენსაციო რგვების განსახორციელებლად 3031 ხის, მათ შორის 1330 კაკლის და 1701 ზეთისხილის ნერგების დარგვის მიზნით.	მუნიციპალური საკუთრება 81.15.06.206
49	ქ. გარდაბანი		მუნიციპალური საკუთრება 81.15.29.419
50	გარდაბანი, კალინინო		მუნიციპალური საკუთრება 81.14.10.163
51	გარდაბანი, მარტყოფი	81.10.03.782-სპორტ. მოედნისთვის	მუნიციპალური საკუთრება 81.10.03.782
52	ქ. გარდაბანი	81.15.20.353-მოვითხოვეთ სკვერის მოსაწყობად	გადმოეცა გარდაბანს სარგებლობაში მოსარგებლის არსებობის ვადით
53	ქ. გარდაბანი	ქრისტიანული სასაფლაო	მუნიციპალური საკუთრება 81.15.21.553
54	ქ. გარდაბანი	აზერბაიჯანული სასაფლაო	მუნიციპალური საკუთრება 81.15.21.552
55	გარდაბანი, გამარჯვება	სპორტული მოედანი-8300 კვ.მ	გადაგზავნილია მოთხოვნა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში
56	გარდაბანი, სართიჭალა	გარე განათების ქსელი-8260.56 გრძივი მეტრი	მუნიციპალური საკუთრება 81.00.967
57	გარდაბანი, ვაზიანის დასახლება	სპორტული მოედნისთვის-3741 კვ.მ	გადაგზავნილია მოთხოვნა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში
58	გარდაბანი, სართიჭალა	სპორტული მოედნისთვის-1430 კვ.მ	მივიღეთ უარი განათლების სამინისტროსგან, შესასწავლად გადაეგზავნა ინფრასტრუქტურის სამსახურს
59	გარდაბანი, სართიჭალა	სპორტული მოედნისთვის-2263 კვ.მ	მივიღეთ უარი საავტომობილო გზების დეპარტამენტისგან
60	გარდაბანი, თელეთი	სპორტული კომპლექსის მშენებლობისთვის-2656 კვ.მ	გადაგზავნილია მოთხოვნა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში
61	გარდაბანი, ლემშენიერა	5865 კვ.მ-მოვითხოვეთ შემდგომი განკარგვის მიზნით	გადაგზავნილია მოთხოვნა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში
62	გარდაბანი, მარტყოფი	81.10.10.134-მოვითხოვეთ შემდგომი განკარგვის მიზნით	გადაგზავნილია მოთხოვნა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში
63	ქ. გარდაბანი	387 კვ.მ -მოვითხოვეთ შემდგომი განკარგვის მიზნით	გადაგზავნილია მოთხოვნა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში

64	გარდაბანი, მარტყოფი	125 კვ.მ-მოვითხოვეთ შემდგომი განკარგვის მიზნით	გადაგზავნილია მოთხოვნა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში
----	---------------------	--	---

ცხრილი №2

2020 წელს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ გაყიდული ქონება				
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. გარდაბანში დ. აღმაშენებლის ქ. №27 ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული 150 კვ.მ ფართი და მასზე წილობრივად დამაგრებული 571 კვ.მ მიწის ნაკვეთი 81.15.13.454.01.500	დაწყება/დასრულება 20/08/2020 14:55 - 08/09/2020 14:00	გაყიდვის ფასი 57750	მესაკუთრე შპს გარდ პალზა	საკუთრების მოწმობა №4
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ თელეთში და სოფელ წალასყურში მდებარე ხაზოვანი ნაგებობა 81.00.348 81.00.350	16/06/2020 12:00 - 30/06/2020 12:00	გაყიდვის ფასი 116875	შპს თბილისე ენერჯი მესაკუთრე	საკუთრების მოწმობა №3
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული vaz 21214 (ნივა)	16/06/2020 13:00 - 30/06/2020 13:00	გაყიდვის ფასი 1980	ფ/პ რომან ჯინჭარაძე	საკუთრების მოწმობა №1
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მწყობრიდან გამოსული სანაგვე ურნები (ჯართი)	22/06/2020 17:00 - 07/07/2020 13:00	გაყიდვის ფასი 1106.81	ფ/პ თორნიკე ოსიაშვილი	საკუთრების მოწმობა №2

## ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის სამსახური

2020 წელს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით გათვალისწინებულია 36 ინფრასტრუქტურული პროექტი, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 9 912 798 ლარს, აღნიშნული პროექტები ითვალისწინებს:

- ქ. გარდაბანში და გარდაბნის მუნიციპალიტეტის 5 სოფელში გზის რეაბილიტაციას საერთო ღირებულებით 3 868 683 ლარი;
- გარდაბნის მუნიციპალიტეტის 13 საბავშვო ბაღების ეზოების კეთილმოწყობა 1 965 199 ლარი;
- აშენდა 2 ახალი საბავშვო ბაღი 1 388 000 ლარი;
- 12 საცხოვრებელი კორპუსის სახურავის გადახურვა 472 099 ლარი;
- 3 მინი-მოედნის და 5 სკვერის მოწყობა-რეაბილიტაცია 1 848 145 ლარი;
- კეთილმოწყობის სამუშაოებს თანხით 370 672 ლარი.

ამ ეტაპზე გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით დასრულებულია 23 სამშენებლო სამუშაოები, თანხით 7 774 432 ლარი, კერძოდ:

- სოფელ ლემშვანიერაში გზების მოასფალტება (4,3 კმ) – 995,119 ლარი;
- სოფელ ქესალოში გზების მოასფალტება (2,7 კმ) – 586.430 ლარი;
- სოფელ ფოლადანთკარში გზების მოასფალტება (2,7კმ) – 749,749 ლარი;
- ქ. გარდაბანში გზების მოასფალტება (5,6 კმ) – 774,352 ლარი;
- სოფელ ყარათაკლიაში გზების მოასფალტება (3,55 კმ) – 589,100 ლარი;
- სოფელ სართიჭალის N1 საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა - 81,182 ლარი;
- სოფელ სართიჭალის N2 საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა - 172,911 ლარი;
- სოფელ მარტყოფის N1 საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა - 224,606 ლარი;
- სოფელ მარტყოფის N2 საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა - 212,888 ლარი;
- სოფელ ვახტანგისის საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა - 57,590 ლარი;
- სოფელ ნაგების საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა - 92,125 ლარი;
- სოფელ მარტყოფში ცენტრალური და შიდა საუბნო (შოშიაშვილების უბნის) გზების ორმოული შეკეთება (5 კმ) - 173,933 ლარი;
- ქ. გარდაბანში მდებარე ექვსი ერთეული საცხოვრებელი კორპუსის გადახურვა - 199,566 ლარი;
- სოფელ კრწანისში საცხოვრებელი კორპუსის გადახურვა - 34,732 ლარი;
- სოფელ თელეთში სამი ერთეული საცხოვრებელი კორპუსის გადახურვა - 173,357 ლარი;
- გარდაბნის მუნიციპალიტეტში სიჩქარის შემზღვევადი ბარიერების მოწყობა (145ც) - 34,699 ლარი;
- სოფელ მარტყოფში საბავშვო სკვერის მოწყობა - 66,707 ლარი;
- სოფელ აღთაკლიაში (გაჩიანის დასახლება) 3 და 2 სართულიანი მრავალბინიანი კორპუსების გადახურვა - 64,444 ლარი;
- სოფელ მარტყოფში გარე განათების მოწყობა - 114,757 ლარი;
- სოფელ კრწანისში (ეგრისის ქუჩა) გარე განათების მოწყობა - 29,684 ლარი;
- ქ. გარდაბანში ცენტრალური სკვერის რეაბილიტაცია - 958,500 ლარი;
- სოფელ ქვემო თელეთში საბავშვო ბაღების მშენებლობა-მოწყობა (2019-2020 წლების ბიუჯეტი) - 721,000 ლარი;
- სოფელ სააკაძეში საბავშვო ბაღების მშენებლობა-მოწყობა (2019-2020 წლების ბიუჯეტი) - 667,000 ლარი.

მიმდინარეობს 15 სამშენებლო სამუშაოები, თანხით 2 138 366 ლარი კერძოდ:

1. სოფელ გამარჯვების N2 საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა - 237,585 ლარი;
2. სოფელ კრწანისის საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა - 188,959 ლარი;

3. სოფელ ნორიოს საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა - 69,796 ლარი;
4. სოფელ ახალი სამგორის საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა - 168,184 ლარი;
5. სოფელ ვაზიანის საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა - 278,572 ლარი;
6. სოფელ ახალსოფლის საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა - 131,287 ლარი;
7. სოფელ საცხენისის საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა - 49,512 ლარი;
8. სოფელ ვაზიანში სპორტული მოედნის მოწყობა - 79,647 ლარი;
9. სოფელ სართიჭალაში იმერეთის და სამგორის ქუჩაზე სპორტული მოედნების მოწყობა - 159,295 ლარი;
10. ქ. გარდაბანში ლესელიძის ქუჩაზე და (დევნილების კორპუსთან) საბავშვო სკვერების მოწყობა - 62,870 ლარი;
11. ქ. გარდაბანში (დევნილების კორპუსში) ლიფტების რეაბილიტაცია - 56,001 ლარი;
12. სოფელ ახალი სამგორის კულტურის სახლის რეაბილიტაცია - 135,531 ლარი;
13. ქ. გარდაბანში, ლელაშხას დასახლებაში პარკის მოწყობა (2020-2021) - 521,125 ლარი.

რეგიონული განვითარების ფონდით დაფინანსდა 12 სამშენებლო პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქ. გარდაბანში და მუნიციპალიტეტის 10 სოფელში გზის მოასფალტების სამუშაოებს, საერთო ღირებულებით 8 329 277 ლარი, კერძოდ:

1. სოფელ სართიჭალაში შიდა გზების მოასფალტება (3.8 კმ) - 884,747 ლარი;
2. სოფელ კრწანისში შიდა გზების მოასფალტება (2 კმ) - 527,242 ლარი;
3. სოფელ აღთაკლიაში შიდა გზების მოასფალტება (3.3 კმ) - 618,787 ლარი;
4. სოფელ ყარაჯალარში შიდა გზების მოასფალტება (3.8 კმ) - 762,182 ლარი;
5. სოფელ ნაზარლოში შიდა გზების მოასფალტება (2.8 კმ) - 500,632 ლარი;
6. სოფელ ვახტანგისში შიდა გზების მოასფალტება (3.1 კმ) - 587,156 ლარი;
7. სოფელ ჯანდარაში შიდა გზების მოასფალტება (3.1 კმ) - 570,870 ლარი;
8. ქ. გარდაბანში (9 აპრილის ქუჩა, ლესელიძის ქუჩა და სამედიცინო ცენტრის წინამდებარე მოედანი) გზების რეაბილიტაცია (2 კმ) - 703,149 ლარი;
9. სოფელ კალინინოში გზების მოასფალტება (3.3 კმ) - 576,397 ლარი;
10. ქ. გარდაბანში (სკოლის ჩიხი NI; დ. აღმაშენებლის და ჩოლოყაშვილის დამაკავშირებელი გზა; ი.ჭავჭავაძის ქუჩა (ხიდიდან მოსახვევამდე); ს.კურლუნის და რუხაძის ქუჩა; ი.ჭავჭავაძის ქუჩა; ენერგეტიკის ქუჩა; ქვემო კაპანახჩის დასახლებაში შიდა გზები; გ.ხარძიანის ქუჩის NI, NII, NIII ჩიხები და ა.წერეთლის ქუჩა; ა.ყაზბეგის ქუჩა; მ.გორკის ქუჩა; 26 მაისის ქუჩა; დ.აღმაშენებლის N60ა-ს შესასვლელი და 9 აპრილის ქუჩის კვეთა; თბილწყაროს დასახლება (ჩიხები); სკოლის ჩიხი NII; კონსტიტუციის II ჩიხი (დ. აღმაშენებლის ძეგლის უკან); დ.აღმაშენებლის N1 და N2 შესასვლელი) გზების რეაბილიტაცია. (7,1 კმ) - 1,402,837 ლარი;
11. სოფელ სართიჭალაში, მულანლოს დასახლებაში შიდა გზების რეაბილიტაცია (1.75კმ) - 568,936 ლარი;
12. მარტყოფი-ნორიოს დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (1.73კმ) - 626,340 ლარი.

ასევე აღნიშნული ფონდის დაფინანსებით განხორციელდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის 8 საჯარო სკოლაში სველი წერტილების რეაბილიტაცია, საერთო თანხით 455 902 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფლებში განხორციელდა 40 სამშენებლო სამუშაოები, საერთო ღირებულებით 642 195 ლარი.

მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით დასრულდა 4 სამშენებლო სამუშაოები, საერთო ღირებულებით 20 261 827 ლარი, კერძოდ:

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ხუთი სოფლის წყალმომარაგების სისტემის მოწყობა (II ეტაპი) - 16 245 634 ლარი;

2. სოფელ გამარჯვებაში და სოფელ კუმისში საბავშვო ბაღების მშენებლობა - 2 977 000 ლარი;
3. სოფელ მუხროვანში საჯარო სკოლის მშენებლობა - 1 039 193 ლარი.

მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით დაიწყო გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფლებში 4 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია (თანამედროვე სტანდარტებით), რომლის საერთო ღირებულება შეადგენს 13 788 179 ლარს, კერძოდ:

1. სოფელ გამარჯვებაში საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - 4 133 067 ლარი;
2. სოფელ ნორიოში საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - 4 281 084 ლარი;
3. სოფელ ჯანდარაში საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - 2 350 703 ლარი;
4. სოფელ კუმისში საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - 3 023 325 ლარი.

აქვე გაცნობებთ, რომ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“ მიერ მიმდინარეობს გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფლებში: ზემო და ქვემო თელეთში, წალასყურში, მუხრანთელეთში, ახალწყალში და კუმისში სასმელი წყლის სისტემის და გამრიცხველიანების და სოფელ მულანლოში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობის სამუშაოები, საერთო ღირებულებით 16 622 122 ლარი.

ასევე გაცნობებთ, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (თბილისი (ველი)-გაჩიანი-რუსთავის) საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულებით 697 796 ლარი.

აქვე მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წელს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის მიერ მიმდინარეობს ეტაპობრივად 129 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა თანხით 955 980 ლარი, რომლითაც 2021 წელს მოხდება ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელება 66 946 135 ლარი.

ჩვენი სამსახური პერმანენტულად ვაწვდით ინფორმაციას ინფრასტრუქტურის რეგიონული განვითარების სამინისტროს და ქვემო-ქართლის გუბერნიას, როგორც სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელ, ასევე რეგიონული ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტების მიმდინარეობის შესახებ.

## **ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური**

ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის მიზანია მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში გარკვეული წვლილის შეტანა. მოწყვლადი ჯგუფებისთვის ყოველწლიურად მუშავდება სამედიცინო და მატერიალური დახმარების პროგრამები, რომელიც სოციალური სამსახურისთვის წარმოადგენს ბენეფიციარებისთვის სოციალური მდგომარეობის შემსუბუქების სახელმძღვანელოს. გარდაბნის მუნიციპალიტეტში მიმდინარე წელს მოქმედებს 21 სოციალური პროგრამა, რომელიც მაქსიმალურად მორგებულია მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მოქალაქეებზე:

- ავადმყოფთა სოციალური დაცვის პროგრამა;
- სადღესასწაულო საჩუქრების პროგრამა;
- ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა;
- მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა;
- დიალეზზე დამოკიდებულ მოქალაქეთა დახმარების პროგრამა;
- დედ-მამით ობოლი ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა;

- უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა დახმარების პროგრამა;
- ომის ვეტერანთა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამა;
- ხანდაზმულ პირთა სოციალური დაცვის პროგრამა;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის პროგრამა;
- სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული ბავშვების დახმარების პროგრამა;
- სტუდენტების დახმარების პროგრამა;
- სოციალურად დაუცველთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა;
- ონკოლოგიურ ავადმყოფთა სამედიცინო მომსახურების დაფინანსების პროგრამა;
- მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვის პროგრამა;
- სოციალურად დაუცველი მარტოხელა პენსიონერების დახმარების პროგრამა;
- სოციალურად დაუცველი იძულებით გადაადგილებული პირების/დევნილების დახმარების პროგრამა;
- მარტოხელა მშობლების დახმარების პროგრამა;
- სოციალურად დაუცველ ჩვილ ბავშვთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამა;
- ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით გათბობის უზრუნველყოფის პროგრამა;
- სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამა;

2020 წლის 1 იანვრიდან დღემდე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურში შემოსულია 9583 კორესპონდენცია. მერიის სოციალური პროგრამის ფარგლებში, 2020 წლის 1 იანვრიდან დღემდე 8921 მოქალაქეს 2134869 (ორი მილიონ ას ოცდათოთმეტი ათას რვაას სამოცდაცხრა) ლარის ფინანსური დახმარება გაეწია.

**ავადმყოფთა სოციალური დაცვის პროგრამა (06 02 01)** - გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 15 იანვრის №64 ბრძანებით შექმნილი გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოციალურ პროგრამებზე მომუშავე „დროებითი სამუშაო ჯგუფის“ მიერ ჩატარებულია 34 სხდომა. სამკურნალო და საოპერაციო მომსახურების პროგრამით დაფინანსებულია 3129 მოქალაქე. ჯამური თანხა 458 817 ლარს შეადგენს.

**სადღესასწაულო საჩუქრების პროგრამა (06 02 03)** – აღნიშნული პროგრამა მუნიციპალიტეტში გასულ წელს დამკვიდრდა, რომელიც მიზნად ისახავს სამიზნე ჯგუფებისთვის საჩუქრების გადაცემას სადღესასწაულო დღეებში. აღნიშნული პროგრამით მიმდინარე წელს დახმარება მიიღო 300-მა ბენეფიციარმა და გახარჯულმა თანხამ შეადგინა 28 155 ლარი.

**ერთჯერადი-მატერიალური დახმარების პროგრამა (06 02 05)** - გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 15 იანვრის №64 ბრძანებით შექმნილი გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოციალურ პროგრამებზე მომუშავე „დროებითი სამუშაო ჯგუფის“ მიერ განხილულ იქნა 2534 მოქალაქის განცხადება. ბრძანება გამოიცა და თანხა ჩაერიცხა 2525 მოქალაქეს, გადარიცხული თანხის ჯამი კი შეადგენს 595500 ლარს. დარჩენილი 290 მოქალაქის განაცხადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ გადაწყვეტილია დადებითად და ელოდება საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურიდან ჩარიცხვის ოპერაციას. ჩასარიცხი თანხის ჯამი შეადგენს 72350 ლარს.

**მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა (06 02 06)** - სოციალური პროგრამის ერთ- ერთი ქვეკატეგორიაა მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება, რომელიც ითვალისწინებს ვეტერანთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო ხარჯების ანაზღაურებას. 2020 წლის იანვრიდან დღემდე მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურებისთვის დახარჯულმა თანხამ 550 ლარი შეადგინა. დახმარება გაეწია 2 ბენეფიციარს.

**დიალეზზე დამოკიდებულ მოქალაქეთა დახმარების პროგრამა (06 02 07)** - მუნიციპალიტეტში მოქმედი დიალეზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული მოქალაქეების სატრანსპორტო ხარჯებისთვის 2020 წლის იანვრიდან დღემდე დაიხარჯა 130 650 ლარი. დახმარება მიიღო 76-მა ბენეფიციარმა.

**დედ-მამით ობოლი ბავშვების (18 წლამდე) სოციალური დაცვის პროგრამა (06 02 09)** - მუნიციპალიტეტში აგრეთვე მოქმედებს დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების დახმარების პროგრამა, რომელიც წელიწადში ორჯერ დედ-მამით ობოლი ბავშვების ფინანსურ მხარდაჭერას გულისხმობს. პროგრამაში ჩართულ 9 ბენეფიციარს ამ ეტაპზე მიღებული აქვთ 4 500 ლარის ფინანსური დახმარება.

**უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა დახმარების პროგრამა (ბინის ქირა 06 02 10)**- გარდაბნის მუნიციპალიტეტში უსახლკაროდ დარჩენილი 7 მოქალაქისთვის ბინის ქირით უზრუნველყოფისთვის ჯამში გაცემულმა 3800 ლარი შეადგინა.

**ომის ვეტერანთა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამა (06 02 11)** -სოციალური პროგრამა ითვალისწინებს ვეტერანებისა და ომში დაღუპულთა სოციალურ უზრუნველყოფას, რომლის ფარგლებშიც 80-მა ბენეფიციარმა მუნიციპალიტეტიდან 28 600 ლარის ფინანსური დახმარება მიიღო.

**ხანდაზმულ პირთა სოციალური დაცვის პროგრამა ((06 02 12)** - მიმდინარე წელს ასი წლის იუბილესთან დაკავშირებით 3 ხანდაზმულს 300-300 ლარის მატერიალური დახმარება გაეწია, ხოლო 1 ოქტომბერს- ხანდაზმულთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით 5 ხანდაზმულს 200-200 ლარი ჩაერიცხა. გაცემულმა თანხამ სულ ჯამში 1900 ლარი შეადგინა.

**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის პროგრამა (06 02 13)** - დღემდე შშმ პირების ფინანსური მხარდაჭერისა და საზოგადოებაში მათი რეინტეგრაციისთვის გაცემულმა თანხამ 54 000 ლარი შეადგინა. დახმარება მიიღო 216 ბენეფიციარმა.

**სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული ბავშვების დახმარების პროგრამა (06 02 14)** - გარდაბნის მუნიციპალიტეტში მოქმედი სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული ბავშვების ფინანსური მხარდაჭერის პროგრამით 5 ბენეფიციარს ყოველთვიურად 150 ლარი ერიცხება. ჯამურად მუნიციპალიტეტის მიერ რეინტეგრირებული ბავშვებისთვის გადარიცხულმა თანხამ ამ დროისთვის 7200 ლარი შეადგინა.

**სტუდენტების დახმარების პროგრამა (06 02 15)** - სტუდენტების სამეზავრო ხარჯების დასაფარად 2020 წლის იანვრიდან დღემდე შემოსული კორესპონდენციებიდან დაკმაყოფილებულია 32 სტუდენტის განაცხადი და ამ ეტაპზე გაცემული თანხა შეადგენს 5200 ლარს.

**სოციალურად დაუცველთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა (06 02 16)** - სამკურნალო/საოპერაციო მომსახურებისა და კლინიკაში არსებული დავალიანებისთვის დახარჯულმა თანხამ 205 864 ლარი შეადგინა. დახმარება გაეწია 357 მოქალაქეს. პროგრამით მოსარგებლები არიან სოციალურად დაუცველი ბენეფიციარები, რომელთა ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-სს.

**ონკოლოგიურ ავადმყოფთა სამედიცინო მომსახურების დაფინანსების პროგრამა (06 02 17)** - 195 ონკოლოგიური დაავადების მქონე ავადმყოფისთვის, რომლებიც საჭიროებენ საოპერაციო, სამკურნალო და სხვა სამედიცინო მომსახურებით დაფინანსებას, ამ ეტაპზე გადარიცხული თანხა შეადგენს 148 726 ლარს.

ამ ეტაპზე საგარანტიო გაცემულია ონკოლოგიური ავადმყოფი 139 მოქალაქისთვის. მომსახურების შესრულების შემდეგ გადასარიცხი თანხა შეადგებს 36 504 ლარს.

**მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვის პროგრამა (06 02 18)** - დაფინანსება მიიღო სოციალურად დაუცველმა 95-მა მრავალშვილიანმა ოჯახმა, რომელთაც ჰყავთ 4 ან მეტი 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი შვილი (ოჯახის სარეიტინგო ქულა 100 000-მდე). მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური დახმარებისთვის გაცემულმა თანხამ 40 400 ლარი შეადგინა.

**სოციალურად დაუცველი მარტოხელა პენსიონერების დახმარების პროგრამა (06 02 19)** - აღნიშნული პროგრამის საფუძველზე მატერიალური დახმარება მიიღო 36-მა მარტოხელა პენსიონერმა და მომსახურებისთვის გახარჯული თანხა შეადგენს 8 850 ლარს.

**სოციალურად დაუცველი იძულებით გადაადგილებული პირების/დევნილების დახმარების პროგრამა (06 02 20)** – ამ დროისთვის დაფინანსება მიიღო 98 იძულებით გადაადგილებულმა პირმა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დევნილთა სოციალური დახმარებისთვის ჯამში 23 700 ლარი გაიხარჯა.

**მარტოხელა მშობლების დახმარების პროგრამა (06 02 21)** დაფინანსება მიიღო 128 მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე მშობელმა და ჯამში აღნიშნული კატეგორიისთვის 64 000 ლარის მატერიალური დახმარება გაიცა.

**სოციალურად დაუცველ ჩვილ ბავშვთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამა (06 02 22)** - აღნიშნული პროგრამით მიმდინარე წელს დახმარება გაეწია 2 სოციალურად დაუცველ ჩვილ ბავშვს. ბავშვთა ხელოვნური საკვებით უზრუნველყოფისთვის გაცემულმა თანხამ 157 ლარი და 55 თეთრი შეადგინა (აღსანიშნავია, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში ჩვილი ბავშვები დახმარების მიმღებნი არიან მანამ, სანამ სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2020 წლის პროგრამით გათვალისწინებულ „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების ქვეპროგრამის“ საფუძველზე სოციალური მომსახურების სააგენტო ოჯახს არ გადასცემს ბავშვთა კვების ვაუჩერს).

**ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით გათბობის უზრუნველყოფის პროგრამა (06 02 23)** ამ ეტაპზე პროგრამით დაკმაყოფილებულია 135 მოქალაქის განაცხადი (სუბსიდია: იანვარი, თებერვალი, ნოემბერი, დეკემბერი) და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გახარჯულმა თანხამ 25750 ლარი შეადგინა.

**სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამა (06 02 24)** – ამ პროგრამით დღემდე, 1244 მოქალაქის ფინანსური დახმარებისთვის გაიხარჯა 290 200 ლარი.

## **განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის სამსახური**

განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის სამსახური ახორციელებს კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებს, რომელიც ემსახურება მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლებას, ქალაქის კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ცხოვრების განვითარებას. სამსახურის ხედვა ითვალისწინებს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც ახალგაზრდებს აქვთ თვითრეალიზაციის შესაძლებლობა,

არიან აქტიური მოქალაქეები, ცხოვრობენ ცხოვრების ჯანსაღი წესით, სარგებლობენ თანაბარი შესაძლებლობებით, იჩენენ შემწყნარებლობას და თანამშრომლობენ ერთმანეთთან.

**განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის სამსახურის მიზნებია:**

- კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლება და უმცირესობების ინტეგრაციის ღონის გაზრდა;
- გარდაბნის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების ჩართულობა ღონისძიებების დაგეგმვაში;
- სპორტული შეჯიბრებების ორგანიზება და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია;
- საზოგადოებრივ ცხოვრებაში შშმ ახალგაზრდების აქტიური ჩართულობისთვის პირობების შექმნა;
- ახალგაზრდების ინფორმირება მუნიციპალიტეტში მიმდინარე და განხორციელებული აქტივობებისა და ღონისძიებების შესახებ;

საქართველოში განვითარებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, დაგეგმილი კულტურული, სპორტული თუ ახალგაზრდული ღონისძიებების განხორციელება ვერ მოხერხდა.

- 6 თებერვალი - ინტელექტუალურ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტი „ეტალონის“ ფარგლებში ჩატარდა ჩემპიონატი, რომელშიც მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეები იღებდნენ მონაწილეობას. (2960 ლარი);
- წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მუნიციპალიტეტის სკოლ(ებ)ის მოსწავლეთა სასკოლო ტრასპორტით მომსახურების ორგანიზება;
- სამსახურის მხარდაჭერით „საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო (გამომცემლობა) „ივერიონში“ დაიბეჭდა მუნიციპალიტეტში მცხოვრები პოეტის ქალბატონ ეთერ ჭელიძის საავტორო ლექსების კრებულის 300 ეგზემპლარი (2000 ლარი).

## შიდა აუდიტის სამსახური

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - შიდა აუდიტის სამსახური თავისი მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე ხელმძღვანელობს სამსახურის მიერ შემუშავებული და ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული სამ წლიანი სტრატეგიული გეგმით, რომელიც მოიცავს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის გრძელვადიან ხედვას. აღნიშნული სტრატეგიული გეგმის საფუძველზე 2020 წლის 3 იანვარს დამტკიცდა 2020 წლის სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც მიმდინარე წელს აუდიტორული შემოწმება განხორციელდა 4 აუდიტის ობიექტში, აქედან 3 სტრუქტურულ ერთეულში (ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური, სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახური და განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის სამსახური) განხორციელდა სისტემური აუდიტი, ხოლო ა(ა)იპ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება“-ში - ფინანსური, შესაბამისობის და ეფექტიანობის აუდიტი. ასევე დამატებით განხორციელდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების ადგილობრივი მოსაკრებლის ადმინისტრირების (დაგეგმვა, ამოღება) უზრუნველყოფის პროცესის შიდა აუდიტორიული შემოწმება.

გარდა აუდიტორული შემოწმებისა, აუდიტის სამსახურის მიერ სისტემატურად მიმდინარეობს დისციპლინისა და კანონიერების დაცვის სამსახურებრივი კონტროლი იმ შესაძლო გადაცდომებთან დაკავშირებით, რაც შეიძლება გახდეს სამსახურებრივი შემოწმების და დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების საფუძველი. საანგარიშო პერიოდში გამოვლენილ იქნა 1 (ერთი) ასეთი გადაცდომა, რაზეც

დაწყებულ იქნა დისციპლინური წარმოება, რომლის მასალებიც შესაბამის დასკვნასთან ერთად შემდგომი რეაგირებისთვის გადაგზავნილ იქნა მუნიციპალიტეტის მერთან.

ამ ეტაპზე შიდა აუდიტის სამსახურში დასაქმებულია 5 საჯარო მოხელე: 1 სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ფ/შ, 3 შიდა აუდიტორი და 1 ინსპექტორი. შიდა აუდიტის სამსახურის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს მაღალი დონის, შიდა აუდიტის სტანდარტების შესაბამისი აუდიტის ჩატარება. აღნიშნული ამოცანის განსახორციელებლად სამსახურისათვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი კადრების მოზიდვა, შენარჩუნება და მათი განვითარების ხელშეწყობა. ამ ეტაპზე თანამშრომელთა მცირე რესურსიდან და მოზადების დონიდან გამომდინარე ვერ ხერხდება იმ რაოდენობის ობიექტების შემოწმება, რაც უზრუნველყოფდა დამფუძნებლისთვის ინფორმაციისა და ანგარიშგებების სათანადო ვადებში და ხარისხით მიღებას.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს რისკის შეფასების დოკუმენტზე დაფუძნებული სამწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავება, რომლის საფუძველზეც სამსახური შეიმუშავებს 2021 წლის სამოქმედო გეგმას და წარუდგენს ხელმძღვანელს დასამტკიცებლად.

## ზედამხედველობის სამსახური

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში 2020 წელს 1 იანვრიდან 24 დეკემბრის ჩათვლით ელექტრონულად შემოვიდა 810 წერილი, მათგან 787 წერილზე მოხდა შესაბამისი რეაგირება, ხოლო 23 წერილზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ზედამხედველობის სამსახურის ინსპექტირების და მოსაკრებლების განყოფილების მიერ გამოვლინდა 35 არქტიექტურულ სამშენებლო სამართალდარღვევის ფაქტი. სულ ჯარიმების სახით ადგილობრივ ბიუჯეტში შემოვიდა 32600 (ოცდათორმეტი ათას ექვსასი) ლარი. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელად დარეგისტრირდა 16 ახალი სუბიექტი. დასუფთავების მოსაკრებლის სახით საანგარიშო პერიოდში ადგილობრივ ბიუჯეტში სულ შემოვიდა 36870 (ოცდათექვსმეტი ათას რვაას სამოდა ათი) ლარი.

ზედამხედველობის სამსახურის ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილება ზედამხედველობას უწევს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებულ (50 000 ლარზე ნაკლებ ღირებულებებს) პროექტებით გათვალისწინებულ სამუშაოებს, ტექნიკურ განყოფილებას შესასრულებლად დაეწერა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 19 ხელშეკრულება, აქედან შესრულებულია 18 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები, მიმდინარეა 1 ხელშეკრულება.

ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობის პერიოდში, ახალი კორონა ვირუსის გავრცელების პირველი ტალღის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების ფარგლებში ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლები ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებდნენ მონიტორინგს და კონტროლს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მოქალაქეების მიერ სოციალური დისტანციის დაცვაზე. (საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებები; აფთიაქები; სურსათის მაღაზიები, აგრარული ბაზარი და სხვა თავშეყრის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები) აღნიშნულ პერიოდში აგრეთვე ხორციელდებოდა მოწყვლად ჯგუფებში არსებული მოსახლეობის დახმარება - სასურსათო პროდუქტების დარიგება. საზოგადოების თავშეყრის ადგილებში განხორციელდა საინფორმაციო ფლარების გაკვრა-დარიგება.

სამუშაო ადგილზე ახალი კორონა ვირუსის თავიდან აცილების მიზნით პანდემიის გავრცელების მეორე ტალღის პერიოდში ყოველდღიურ რეჟიმში გავავრცელეთ ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული შესაბამისი რეკომენდაციები, მეწარმე სუბიექტების მიმართ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე.

საგანგებო მდგომარეობის პერიოდში გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური არ გადასულა დისტანციური მუშაობის რეჟიმზე.

## სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურში საქართველოს მთავრობის დადგენილების N247 2015 წლის 2 ივნისის საფუძველზე 2020 წლის 10 იანვრიდან 30 აპრილამდე მიმდინარეობდა 2003 წელს დაბადებულ ჭაბუკთა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა. ჩვენს მიერ გადაგზავნილი წერილების საფუძველზე სკოლებიდან, წარმოება-დაწესებულებებიდან, გარდაბნის რესურსცენტრიდან მოწოდებული ინფორმაციით სულ ასაყვანი იყო 336 ჭაბუკი, ხოლო იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან მოწოდებული ინფორმაციით 2003 წელს დაბადებულ ჭაბუკთა მონაცემი წარმოადგენს 544 ჭაბუკს. აყვანილ იქნა სამხედრო აღრიცხვაზე 336 ჭაბუკი, 208 ჭაბუკის აყვანა ვერ მოხერხდა პანდემიური ვითარებიდან გამომდინარე. მათზე ინფორმაციის მოძიება გრძელდება დღემდე.

საქართველოს მთავრობის დადგენილების 2020 წლის 30 იანვრის N62 საფუძველზე ჩატარდა სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა საგაზაფხულო გაწვევა.

გეგმა დავალება შეადგენდა 76 წვევამდელს, გამოძახებულ იქნა გამწვევ უბანზე 445 წვევამდელი, გამოცხადდა 353 წვევამდელი, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეულ იქნა 51 წვევამდელი, 268 წვევამდელს მიეცა გადავადება კანონის შესაბამისად სხვადასხვა მიზეზის გამო. გადაიხადა გადავადების მოსაკრებელი 5-მა წვევამდელმა, გადაეცა მასალები სასამართლოს 92 წვევამდელზე.

საქართველოს მთავრობის დადგენილების 2020 წლის 29 ივლისის N474 საფუძველზე მიმდინარეობს სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა საშემოდგომო გაწვევა, გეგმა დავალება შეადგენდა 87 წვევამდელს, ამ ეტაპზე გამოძახებულ იქნა გამწვევ უბანზე 314 წვევამდელი, გამოცხადდა 264 წვევამდელი, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეულ იქნა 30 წვევამდელი, 234 წვევამდელს მიეცა გადავადება კანონის შესაბამისად სხვადასხვა მიზეზის გამო. გადაიხადა გადავადების მოსაკრებელი 3-მა წვევამდელმა, გადაეცა მასალები სასამართლოს 50 წვევამდელზე.

სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ კანონის 21-მუხლის მე-3 პუნქტით ჩაირიცხა რეზერვში 438 წვევამდელი, სავალდებულო სამსახურგავილილი მოქალაქეები კანონის შესაბამისად ჩაირიცხნენ რეზერვში 202 წვევამდელი. რეზერვისტის დროებითი მოწმობა გამოწერილ იქნა 126 რეზერვისტზე.

## საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა 33,216.4 ათას ლარს; წლის განმავლობაში განხორციელდა ბიუჯეტის 6 ცვლილება, რის შედეგადაც გარდაბნის მუნიციპალიტეტის დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 45,977.5 ათასი ლარი. ბიუჯეტის აღნიშნული ზრდა გამოწვეული იყო მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებული ნაშთის განწერით და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გარდაბნის მუნიციპალიტეტისათვის ტრანსფერების გამოყოფით, კერძოდ:

1. დელეგირებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების რეაბილიტაციისთვის - 1,290.0 ათ. ლარის ოდენობით;
2. დელეგირებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსწავლეთა ტრანსპორტირებისთვის - 261.2 ათ. ლარის ოდენობით;
3. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის N2630 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტს გამოეყო 6,341.059 ლარი შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად:
  - სოფელ კრწანისში შიდა გზების მოასფალტება - 500,881 ლარი;
  - სოფელ ნაზარლოში გზების მოასფალტება - 489,937 ლარი;
  - სოფელ ვახტანგისში გზების მოასფალტება - 584,382 ლარი;
  - სოფელ აღთაკლიაში გზების მოასფალტება - 587,849 ლარი;
  - სოფელ ყარაჯალარში გზების მოასფალტება - 724,073 ლარი;
  - სოფელ ჯანდარაში გზების მოასფალტება - 567,574 ლარი;
  - სოფელ სართიჭალაში შიდა გზების მოასფალტება - 464,493 ლარი.
  - ქ. გარდაბანში (9 აპრილის ქუჩა, ლესელიძის ქუჩა და სამედიცინო ცენტრის წინამდებარე მოედანი) გზების რეაბილიტაცია - 570,971 ლარი;
  - სოფელ კალინინოში გზების მოასფალტება - 484,630 ლარი;
  - ქ. გარდაბანში (სკოლის ჩიხი N1; დ. აღმაშენებლის და ჩოლოყაშვილის დამაკავშირებელი გზა; ტ. შვეჩენკოს და ქეთევან წამებულის ქუჩები; ი. ჭავჭავაძის ქუჩა (ხიდიდან მოსახვევამდე); ს. ვურლუნის და რუხაძის ქუჩა; ბაზრის, კონსტიტუციის ქუჩების და რობაქიძიდან ტოლსტოიძე დამაკავშირებელი გზა; თბილწყაროს დასახლებაში შიდა გზები; ქვემო კაპანახჩის დასახლებაში შიდა გზები; გ. ხარძიანის ქუჩის N1, N2, N3 ჩიხები და ა. წერეთლის ქუჩა; მ. გორკის ქუჩა; 26 მაისის ქუჩა; დ. აღმაშენებლის N60ა-ს შესასვლელი და 9 აპრილის ქუჩის კვეთა; თბილწყაროს დასახლება (ჩიხები); სკოლის ჩიხი N2; კონსტიტუციის II ჩიხი (დ. აღმაშენებლის ძეგლის უკან); დ. აღმაშენებლის N1 და N2 შესასვლელი; დ. აღმაშენებლის ქუჩიდან კლინიკა სანოს შესასვლელამდე) გზების რეაბილიტაცია - 1,366,269 ლარი;
  - მარტყოფი-ნორიოს დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - 154,762 ლარი;
  - მულანლოს დასახლებაში შიდა გზების რეაბილიტაცია - 95,000 ლარი.
4. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N2752 განკარგულებით, გარდაბნის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 662,000 ლარი.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის სარეზერვო ფონდი მიმდინარე წელს შეადგენს 540.0 ათას ლარს. აღნიშნული ფონდიდან წლის განმავლობაში მოხდა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებების დაფინანსება, როგორებიც არის:

1. ავადმყოფთა სოციალური დაცვა - 18.2 ათასი ლარი;
2. ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა - 93.1 ათასი ლარი;
3. დიალიზზე დამოკიდებულ მოქალაქეთა დახმარების პროგრამა - 6.3 ათასი ლარი;
4. უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა დახმარების პროგრამა - 40.3 ათასი ლარი;
5. ვეტერანთა და ომში დაღუპულ მეომართა დახმარების პროგრამა - 6.3 ათასი ლარი;
6. სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამა - 253.7 ათასი ლარი;
7. პანდემიასთან დაკავშირებით ჰიგიენური საშუალებების შესყიდვა - 52.3 ათასი ლარი.

2020 წლის განმავლობაში საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილებამ მოამზადა 2020 წლის ბიუჯეტის I, II და III კვარტლების შესრულებები და წარადგინა გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოში განსახილველად.

პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოცემული 2020 წლის 11 მარტის N578 ბრძანების შესაბამისად საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური კოორდინაციას უწევდა სამუშაო ჯგუფს.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გაგზავნილ იქნა 13 ნოემბერს, რომელიც დამტკიცებულ იქნა 30 ნოემბერს.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიამ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საკრებულოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის საფუძველზე, განახორციელა სამი სახის სახელმწიფო შესყიდვა: საქონლის შესყიდვა, მომსახურების შესყიდვა და სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესყიდვა. შესყიდვების განსახორციელებლად საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის შესყიდვების განყოფილების მიერ გაფორმებულ იქნა 138 (ასოცდათვრამეტი) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის ჯამურმა ღირებულებამაც შეადგინა 19186442,71 (ცხრამეტი მილიონ ას ოთხმოცდაექვსი ათას ოთხას ორმოცდაორი ლარი და 71 თეთრი ) ლარი.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ძირითადი ნაწილი განხორციელდა ელექტრონული ტენდერის საშუალებით (სხვადასხვა საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს შესასრულებლად). გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების განყოფილების მიერ გამოცხადებულია 61 (ასამოცდაერთი) ელექტრონული ტენდერი. გამოცხადებული ტენდერებიდან გაფორმებული იქნა 35 (ოცდათხუთმეტი) ხელშეკრულება, რომლის სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 17318864 (ჩვიდმეტი მილიონ სამასთვრამეტი ათას რვაას სამოცდაოთხი) ლარი. 8 ტენდერი მიმდინარე ეტაპზეა, ასევე გამოცხადებული ტენდერებიდან უარყოფითი შედეგით დასრულდა 5, სადაც პრეტენდენტებმა არ დააზუსტეს შემსყიდველის მიერ სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი ტექნიკური დოკუმენტაცია. არ შედგა 11 ტენდერი, რაც იმას ნიშნავს, რომ ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობა არცერთ პრეტენდენტს არ მიუღია და შეწყდა 2 (ორი) ტენდერი, აღნიშნულ ტენდერებში ატვირთულ სატენდერო დოკუმენტაციაში საჭირო გახდა სატენდერო დოკუმენტაციის შეცვლა.

40 ხელშეკრულება იქნა გაფორმებული შესყიდვების სააგენტოს მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში, სახელშეკრულებო ღირებულებით 443157,77 (ოთხასორმოცდასამი ათას ასორმოცდაჩვიდმეტი ლარი და 77 თეთრი) ლარი.

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებული იქნა 55 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, საიდანაც 2 ხელშეკრულება გაფორმდა - ექსკლუზიური უფლებამოსილებით, სახელშეკრულებო ღირებულება 169760 (ასსამოცდაცხრა ათას შვიდას სამოცი) ლარი. 11 ხელშეკრულება გადაუდებელი აუცილებლობით-სახელშეკრულებო ღირებულება 454569,96 (ოთხასორმოცდაათოთხმეტი ათას ხუთას სამოცდაცხრა ლარი და 96 თეთრი) ლარი, 21 ხელშეკრულება სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებით-სახელშეკრულებო ღირებულება 668805,41 (ექვსას

სამოცდარვა ათას რვაას ხუთი ლარი და 41 თეთრი) ლარი, 2(ორი) ხელშეკრულება წარმომადგენლობითი ხარჯით -სახელშეკრულებო ღირებულება 5110 (ხუთი ათას ათი) ლარი, 2 ხელშეკრულება ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახი-სახელშეკრულებო ღირებულებით 3128 (სამი ათას ასოცდარვა) ლარი . 17 ხელშეკრულება მონეტარული ზღვრების დაცვით-სახელშეკრულებო ღირებულება 35047,58 (ოცდათხუთმეტი ათას ორმოცდაშვიდი ლარი და 58 თეთრი).

3 არარეგისტრირებული ხელშეკრულება გაფორმდა, სახელშეკრულებო ღირებულებით 48000 (ორმოცდრვა ათასი) ლარი. 1 ხელშეკრულება ერთობლივი ელექტრონული ტენდერით სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციის მიზნით, გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების სამუშაოების შესყივაზე , ღირებულებით 40000 (ორმოცი ათასი) ლარი.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვები ხორცილდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების, გამარტივებული შეყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების შესაბამისად, რომლებიც უშუალოდ არეგულირებენ სახელმწიფო შესყიდვების სწორად განხორციელებას.